ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 352

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გამრეკელის ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მედკაპიტალისთვის" (ს/ნ. 205218030) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მედკაპიტალისთვის" (ს/ნ. 205218030) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის №25.1158.1287 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გამრეკელის ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.013.048), პირდაპირი განკარგვის წესით, გრიგოლ ღონღაძისთვის (პ/ნ. 01030008028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მედკაპიტალისთვის" (ს/ნ. 205218030) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 304 (ორი ათას სამას ოთხი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე